

სერვისების განმარტებები:

1) სახანძრო უსაფრთხოების ზომების შემუშავება:

ობიექტზე სახანძრო-ტექნიკური შემოწმების ჩატარება, რაც გულისხმობს ობიექტზე სახანძრო უსაფრთხოების კუთხით, არსებული მდგომარეობის შეფასებას და შესაბამისი რეკომენდაციების გაცემას.

2) საგანგებო სიტუაციების პრევენციისა და მათზე რეაგირების მოთხოვნების შემუშავება:

1. საგანგებო მართვის გეგმის შემუშავების მიზნით სამუშაო სანიმუშო დოკუმენტაციის მომზადება;

2. საობიექტო სახანძრო-სამაშველო ძალების, პერსონალის, ხელმძღვანელი პირების, მოსახლეობის და სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში სპეციალურად უფლებამოსილი პირების მომზადების მიზნით განხორციელებული სამოქალაქო უსაფრთხოების ვარჯიშებისა და სწავლებების ორგანიზება და მათ შესახებ ანგარიშის მომზადება, რაც მოიცავს შემდეგი ღონისძიებებისა და დოკუმენტალური/სასწავლო მასალების შემუშავებას:

ა) სამოქალაქო უსაფრთხოების ვარჯიშების ჩატარების გეგმა;

ბ) სასწავლო გეგმა, სასწავლო თემატიკა და სასწავლო მასალები (პრეზენტაციები);

გ) სამოქალაქო უსაფრთხოების ვარჯიშების შედეგების განხილვის საფუძველზე შემუშავებული რეკომენდაციები.

დ) საგანგებო სიტუაციების მართვის სფეროში, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში ქცევისა და მოქმედების წესების, თეორიული სწავლებების ორგანიზება;

ე) სამაგიდო, ტაქტიკურ-სპეციალური და კომპლექსური ვარჯიშების ორგანიზება.

3) სახანძრო უსაფრთხოების საკითხებზე სპეციალისტის ტექნიკური კონსულტაცია;

4) სახანძრო სიტუაციებისაგან მოსახლეობის და ტერიტორიის დაცვის საკითხებზე სპეციალისტის ტექნიკური კონსულტაცია;

რაც მოიცავს:

1. საგანგებო მართვის გეგმის შემუშავების მიზნით;

2. პოტენციურად საშიში ობიექტის შემთხვევაში, უსაფრთხოების პასპორტისა და უსაფრთხოების დეკლარაციის წარმოება და მათი მუდმივი განახლების ასევე, მათი მართებულობის (ადგილზე არსებულ მდგომარეობასთან შესაბამისობის დადგენა) შეფასების მიზნით;

3. საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა საფუძველზე, სამოქალაქო უსაფრთხოების საინჟინრო-ტექნიკური ღონისძიებების დასახვისა და შეფასების მიზნით;
4. საობიექტო სწავლებებისა და ტრენინგების ორგანიზების მიზნით.
5. სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი დაგეგმვისას შესაბამისი ტერიტორიის გამოყენებისა და განვითარების ეკონომიკური და სოციალური წინაპირობების საგანგებო სიტუაციების რისკის შემცირების საკითხებთან ჰარმონიზაციის მიზნით.

5) სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, ორგანიზაციული და ტექნიკური გადაწყვეტილებების (ტექნიკური პირობები) შემუშავება:

სახანძრო უსაფრთხოების ზომების შესახებ ინსტრუქციების შემუშავება.

6) საგანგებო სიტუაციების პრევენციისა და მათზე რეაგირების მოთხოვნების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, ორგანიზაციული და ტექნიკური გადაწყვეტილებების შემუშავება.

1. საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა საფუძველზე, შენობა-ნაგებობის დაპროექტებისას და მშენებლობისას გასათვალისწინებელი სამოქალაქო უსაფრთხოების საინჟინრო-ტექნიკური ღონისძიებების საკმარისობის დადგენისა და შეფასების მიზნით. ხოლო, აღნიშნულის არარსებობის შემთხვევაში, სათანადო (ორგანიზაციული და ტექნიკური) გადაწყვეტილებების შემუშავება;
2. დამცავი ნაგებობის ტექნიკურ მდგომარეობისა და საკმარისობის შეფასების მიზნით.
3. ობიექტის ადრეული შეტყობინების სისტემის მზადყოფნის, სათანადო მართვის პუნქტების არსებობის, მათი მზადყოფნისა და მოსალოდნელი საგანგებო სიტუაციებისაგან, ობიექტის მიმდებარე (მოსაზღვრე) ტერიტორიაზე მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის ღონისძიებების, მათ შორის, გაფრთხილებისა და ადრეული შეტყობინების ღონისძიებების შემუშავებისა და ორგანიზების მიზნით.

7) შენობა-ნაგებობის (გარდა სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობისა და სამოქალაქო უსაფრთხოების კატეგორიისთვის მიკუთვნებული ობიექტებისა) სახანძრო უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტებთან ან/და სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა და შესაბამისი წინადადებების მომზადება.

შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შემოწმების ჩატარება და შესაბამისობის დასკვნის გაცემა.

8) ობიექტის (გარდა სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობისა და სამოქალაქო უსაფრთხოების კატეგორიისთვის მიკუთვნებული ობიექტებისა) და სამშენებლო დოკუმენტაციის სახანძრო უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტებთან ან/და სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა და შესაბამისი წინადადებების მომზადება.

არქიტექტურული პროექტის სახანძრო უსაფრთხოების საკითხების განხილვა და შესაბამისი წინადადებების მომზადება.

9) ობიექტის (გარდა სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობას მიკუთვნებული ობიექტებისა) ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის მოწყობილობებისა და სისტემების გამოცდა სათანადო აქტის გაფორმებით.

თანამშრომლების მიერ ობიექტზე არსებული ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების და მოწყობილობების გამოცდა (გატესტვა) და მათ გამართულ მუშა უნარიანობაზე სათანადო დასკვნის გაფორმება.

10) სახანძრო უსაფრთხოების წესების სწავლება.

- სალექციო მასალის მომზადება;
- პრეზენტაციების და სხვა საჩვენებელი მასალის მომზადება;
- მომხმარებლისათვის ლექციების ჩატარება.

ლექცია სახანძრო უსაფრთხოების შესახებ, ხანძრის დროს ქცევის წესების სწავლება, ასევე ცეცხლმაქრების გამოყენების წესი, სახანძრო უსაფრთხოების ქსელებზე ინსტრუქტაჟი.

11) საგანგებო სიტუაციებში ქცევის წესების, აგრეთვე საგანგებო სიტუაციების მართვის ორგანიზების სწავლება.

- მსმენელთა კატეგორიიდან და მოთხოვნებიდან გამომდინარე სხვადასხვა ტიპის სასწავლო პროგრამების შემუშავება;
- სალექციო მასალის მომზადება;
- პრეზენტაციების და სხვა საჩვენებელი მასალის მომზადება;
- მომხმარებლისათვის ლექციების ჩატარება.

საგანგებო სიტუაციების – საერთო დახასიათება. სხვა და სხვა სახის საგანგებო სიტუაციების დროს მოქმედების წესები. სახანძრო უსაფრთხოების წესების სწავლება, ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟი, მასობრივი განადგურების იარაღზე, კოლექტიური და ინდივიდუალური დაცვის საშუალებებზე საუბარი. პირველადი სამედიცინო დახმარების სწავლება. სს შეტყობინების სისტემის - ზოგადი განმარტებები. ევაკუაციის -

ზოგადი განმარტებები. საგანგებო შტაბის შექმნა, მისი შემადგენლობა და ფუნქციონალური მოვალეობები. ობიექტზე სს დროს საგანგებო შტაბის ფუნქციონირება და სერტიფიკატების გაცემა.

12) მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრის, აგრეთვე თვითმმართველი ქალაქის ტერიტორიის საზღვრებში სპეციალური დანიშნულების ავტო ტექნიკით სიმაღლეზე სამუშაოების წარმოება.

13) შენობა-ნაგებობის საევაკუაციო გეგმის შემუშავება.

- კომპიუტერულად შენობა-ნაგებობების ნახაზებს გეგმების პირველად დამუშავება (ნახაზის სამუშაო მდგომარეობამდე მოყვანა, ზედმეტი ელემენტების წაშლა, ნახაზზე შენობის კონტურების ერთფერად გადაკეთება);
- ადგილზე შენობა-ნაგებობების დათვალიერება;
- ნახაზის სიზუსტის შემოწმება (რამდენად შეესაბამება წარმოდგენილი ნახაზი არსებულ შენობის ოთახების შიდა განლაგებას, ელ. მომარაგების გამთიშველი ელ. ფარების ნახაზზე დატანა);
- შენობაში მყოფი პერსონალის, ოთახების განლაგების და არსებული საევაკუაციო გასასვლელების რაოდენობის გათვალისწინებით საევაკუაციო გეგმის დაგეგმარება, სამუშაო საევაკუაციო გეგმის „შავი“ ნახაზის შექმნა;

კომპიუტერზე ელექტრონულად შენობა-ნაგებობების საევაკუაციო გეგმების აწყობა, ამობეჭდვა და მომხმარებლისათვის მიწოდება.

14) ობიექტზე ცეცხლსაშიში სამუშაოების, მასობრივი, სანახაობრივი, სპორტული და სხვა ღონისძიების ჩატარების დროს (გარდა სახელმწიფოს მიერ ორგანიზებული საზოგადოებრივი, პოლიტიკური, საქველმოქმედო ღონისძიებებისა, როდესაც მომსახურება გაიწევა უსასყიდლოდ) აგრეთვე ფილმის, რეკლამის ან კლიპის გადაღებისას სახანძრო, საავარიო-სამაშველო ავტო ტექნიკით და ეკიპაჟით მომსახურება/სახანძრო, საავარიო-სამაშველო ავტო ტექნიკის თხოვება.

15) ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული, ბირთვული, ხანძარსაშიში ან/და ფეთქებადი ტვირთის გაცილება კომპეტენციის ფარგლებში.